საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 96

ქ. ბათუმი 28 ოქტომბერი, 2016 წ.

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად აკადემიური საბჭოს 2016 წლის 15 სექტემბრის №78 და 2016 წლის 23 სექტემბრის №84 დადგენილებებით გამოცხადებული კონკურსის შედეგების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის“, აკადემიური საბჭოს 2016 წლის 15 სექტემბრის №78 დადგენილებისა და საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმების (№5, 24.10.2016 და №5, 27.10.2016) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ასისტენტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 15 სექტემბრის №78 დადგენილებით გამოცხადებული კონკურსის შედეგები და კონკურსის საფუძველზე **ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე, სტომატოლოგიის დარგობრივ დეპარტამენტში თერაპიული სტომატოლოგიის მიმართულებით** ასისტენტის აკადემიურ თანამდებობებზე (2019 წლის 01 ნოემბრამდე ვადით) არჩეული იქნან:

ა) **მარიამ გოგოტიშვილი;**

ბ) **ფრიდონ ჯაფარიძე.**

2. დამტკიცდეს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №84 დადგენილებით გამოცხადებული კონკურსის შედეგები და კონკურსის საფუძველზე აკადემიურ თანამდებობებზე (ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 2021 წლის 01 ნოემბრამდე, ასისტენტ პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 2020 წლის 01 ნოემბრამდე ვადით) არჩეული იქნან:

1) საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მტკიცებითი მედიცინის დეპარტამენტში

ა) მტკიცებითი მედიცინისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით:

ლელა ბერიძე - ასისტენტ პროფესორი.

2) კლინიკური მედიცინის დეპარტამენტში

ა) დედათა და ბავშვთა მედიცინის მიმართულებით:

ვახტანგ ბერიძე - ასოცირებული პროფესორი

ბ) ქირურგიის მიმართულებით:

დარჩა ვაკანტური.

გ) თერაპიის მიმართულებით:

ნანა ცინცაძე - ასისტენტ პროფესორი.

3. კონკურსში გამარჯვებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდეს 2016 წლის 01 ნოემბრიდან.

4. დადგენილება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და კონკურსში გამარჯვებულ პირებს.

5. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

6. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**